



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

იაპონური და ქართული კულტურის გზაჯვარედინზე
(დიპლომატიური მიმოწერის თარგმნის პრობლემები)

ლაშა ბოლქვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადოქტორო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტი,
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35
+995 598 090 900, l.bolkvadze@hotmail.com
<https://orcid.org/0000-0002-9751-650X>

მარინე აროშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35
+995577141030. marina.aroshidze@bsu.edu.ge
ORCID identifier is 0000-0001-8211-8421

ანოტაცია

თანამედროვე საქართველო აქტიურად ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობებს ევროპისა და აზიის უამრავ ქვეყანასთან. დიპლომატიური ურთიერთობები კულტურათაშორისი კომუნიკაციის ურთულეს სახეობას წარმოადგენს, რომელიც, უეჭველად, მოითხოვს ინტერდისციპლინარულ კვლევებს. წინამდებარე სტატიაში მოცემულია იაპონური და ქართული ოფიციალური სტრუქტურების და კონკრეტული პოლიტიკოსების მიმოწერის თარგმანი, რომელმაც მოითხოვა წყარო ტექსტში მოყვანილი რეალიების ლინგვოკულტურული, სოციოლინგვისტური და პრაგმატული ასპექტების ანალიზი. დიპლომატიური მიმოწ-

ერის ემპირიული მასალა მოყვანილია იაპონიის საელჩოს ოფიციალური საიტიდან (<https://www.ge.emb-japan.go.jp>).

კვლევის შედეგად ოფიციალური იაპონურ-ქართული მიმოწერაში იყო აღმოჩენილი საინტერესო თავისებურებანი: დიპლომატიური წერილების ტიპისა და ფორმის განსხვავება; იაპონური და ქართული ეტიკეტის თავისებურება; კულტურული რეალიების სპეციფიკა, რომლებიც გაუგებარია სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის, ამიტომ მოითხოვენ ქართულენოვან მკითხველისთვის პრაგმატულ ადაპტაციას, რაც გააუმჯობესებს ურთიერთგაგებას და აამაღლებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური დისკურსი; იაპონურ-ქართული ურთიერთობები; თარგმანის კულტუროლოგიური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული ასპექტები; რეალია; ფონური ინფორმაცია.

შესავალი

ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორია, შეიძლება ითქვას, სამ განსხვავებულ პერიოდს მოიცავს: ძველი საქართველო და იაპონია (XVII-XIX სს. ცალკეული კონტაქტები); საბჭოთა კავშირის დამაბული პერიოდი და მესამე - თანამედროვე თავისუფალი საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები „ამომავალი მზის“ ქვეყანასთან, რომელსაც ჩაეყარა საფუძველი 1992 წლის 3 აგვისტოს, როდესაც იაპონიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა (Embassy of Japan in Georgia, 2022).

როგორც მარიამ ბიბილაშვილი აღნიშნავს პოლიტიკურ დოკუმენტში „საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: პარტნიორობის მიღწევები და პერსპექტივები“, 1997 წ. იაპონიის პრემიერ-მინისტრ რიუტარო ჰაშიმოტოს „ევრაზიული დიპლომატიის“ შემოღების შემდეგ, იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტების გამართვა დაიწყეს, რასაც დემოკრატიული და ენერგეტიკ-

ული რეაბილიტაციის პროექტები მოჰყვა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების, ტარო ასოს „თავისუფლების და კეთილდღეობის რკალისა“ და ტარო კონოს „კავკასიური ინიციატივის“ შთაგონებით, 2006 წლის შემდგომი პერიოდი ხასიათდება უფრო მეტი მაღალი დონის ვიზიტით, მნიშვნელოვანი პროექტებისა და ორმხრივი შეთანხმებების წამოწყებით და ისეთი საერთო ღირებულებების პოლიტიკური მხარდაჭერით, როგორცაა თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა (ბიბილაშვილი, 2022).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, ნიკო ჯავახიშვილი მის მონოგრაფიაში „ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ“ გვიზიარებს ქართულ იაპონური ურთიერთობათა ისტორიის საინტერესო ფაქტებს (ჯავახიშვილი, 2014: 12-19).

ნებისმიერი ნაყოფიერი ურთიერთობა მოითხოვს ეფექტურ კულტურათაშორისი კომუნიკაციას, რაც შეუძლებელია იაპონური ენისა და კულტურის შესწავლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ იაპონური ენა და კულტურა დიდ ინტერესს იწვევს ქართველ საზოგადოებაში, მცირეა ის უამრავი ფონური მასალა, რომელიც აუცილებლად სჭირდება ქართველებს იაპონური ენისა და კულტურის ასათვისებლად. ლინგვოკულტურული ასპექტის გარდა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტური ასპექტი, ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობა ბევრ პრაგმატიკული ხასიათის ნიუანსს მოიცავს, რაც ართულებს თარგმნის პროცესს.

ადეკვატური თარგმანი, კი, მოგეხსენებათ, ორიენტირებულია შინაარსის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემაზე, ტექსტური ინფორმაციის ემოციური შემადგენლობის გადმოტანაზე, ტექსტის ფორმის, ენისა, სტილის შენარჩუნებაზე და მოხსენების პრაგმატულ ადაპტაციაზე ახალი მკითხველის ფონური მარაგის გათვალისწინებით.

მეთოდები

წარმოდგენილი სტატია ეფუძნება როგორც ზოგად სამეცნიერო, ასევე სპეციფიკურ ლინგვისტურ მეთოდებს: აღწერისა და

შედარება-შეპირისპირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, დისკურს-ანალიზი. აგრეთვე გამოყენებულია ინტერდისციპლინარული მიდგომები, კერძოდ - ლინგვოკულტურული ანალიზის პრაგმატული ასპექტი.

კვლევის ობიექტი

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იაპონური დიპლომატიური დისკურსის ერთერთ ნაირსახეობა - ოფიციალური წერილები;

ვინაიდან თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის გაგება სხვადასხვაგვარია, ჩვენ კვლევაში მიღებული დისკურსის შემდეგი სამუშაო განმარტებით: *დისკურსი სოციალურ კონტექსტში ჩართული ენობრივი მოღვაწეობის პროცესია და მისი შედეგი.*

ჩვენს მიერ გაანალიზებული იაპონურ-ქართული დიპლომატიური მიმოწერის მაგალითებზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საკითხები:

- 1) ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებანი;
- 2) ეტიკეტის განსხვავება;
- 3) კულტურული რეალიების თავისებურებანი;
- 4) ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის.

შესწავლილ მასალაში აღმოჩენილია შემდეგი თავისებურებანი:

- 1) დიპლომატიური წერილების ტიპისა და ფორმის თავისებურება;
- 2) იაპონური და ქართული ეტიკეტის განსხვავება;
- 3) კულტურული რეალიების სპეციფიკა.

დიპლომატიური წერილების ტიპისა და ფორმის თავისებურებანი

დიპლომატია წარმოადგენს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებებს, ასევე პრაქტიკული ღონისძიებებისა და მეთოდების კომპლექსს, რომლებიც გათვალისწინებულია ამოცანების შესრულების სპეციფიკური პირობე-

ბისა და მისი ხასიათის გათვალისწინებით. დიპლომატიის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების თავიდან აცილების ან მოგვარების, კონსენსუსის მიღწევისა და ურთიერთ თანამშრომლობის გადაწყვეტილებების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების შუამავალია.

საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, და ამ სტრუქტურების წარმომადგენლებ შორის სისტემატური ოფიციალური მიმოწერა მიმდინარეობს, რომელშიც მუდგანდება წყაროებისა და სამიზნე ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობები, კულტურული თავისებურებანი და განსაკუთრებული პრაგმატიკა.

ოფიციალური წერილების მრავალი ნაირსახეობა არსებობს. დიპლომატიური მიმოწერა შეიძლება იყოს ღია და დახურული, განსხვავდება ადრესანტისა და ადრესატის მიხედვით: ერთი ქვეყნის მთავრობა მიმართავს მეორე ქვეყნის მთავრობას მემორანდუმით, ნოტით, განცხადებით და სხვ. ჩვენ შემთხვევაში გვაქვს გაანალიზებული იაპონიის საელჩოს ოფიციალური წერილები, რომლებიც განლაგებულია საელჩოს საიტზე (<https://www.ge.emb-japan.go.jp/itprka/cultureandinformation20180207.html>). ასეთი ტიპის წერილები ბევრად უფრო მრავალფეროვანი არიან: საინფორმაციო წერილი, წერილი-შეტყობინება, თანდართული წერილი, წერილი-შემოთავაზება, წერილი-შეხსენება, წერილი-განცხადება, წერილი-მოთხოვნა, წერილი-უწყება, წერილი-რეკლამა, წერილი-პრეტენზია, წერილი-მოლოცვა და სხვ. ჩვენს მიერ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში ძირითადად შეგხვდა სამი ტიპის წერილი:


- 1) წერილი-მოლოცვა;
- 2) საინფორმაციო წერილი;
- 3) წერილი-შემოთავაზება.

დიპლომატიური თუ საქმიანი სფეროს ყველა წერილი მოიცავს, ეგრედ წოდებულ, აუცილებელ პარამეტრებს, ესენია:

- 1) ადრესანტის (წერილის ავტორის) საკონტაქტო ინფორმაცია;

- 2) წერილის თარიღი;
- 3) ადრესატის (მიმღების) საკონტაქტო ინფორმაცია;
- 4) მისალმება;
- 5) წერილის ძირითადი ნაწილი;
- 6) დასკვნა/დაჯამება.

იაპონური წერილების ფორმატი განსხვავდება ჩვენთვის მიღებული ფორმიდან - ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვგულისხმობთ იაპონური დამწერლობის ორ ვარიანტს - ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს, არამედ ვაანალიზებთ ინფორმაციის მიწოდების თანმიმდევრობას (იხ. სურათი 1).



ინგლისურ ენაზე თარგმნილ ვარიანტებში ჩვენ გზვდება წინამდებარე თანმიმდევრობა:

August 3, 2022

H.E. Mr. Irakli Garibashvili
Prime Minister of Georgia

Your Excellency,

I would like to extend my sincere congratulations on the occasion of the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Japan and Georgia.

Sharing basic values with Japan, Georgia is an important partner of our country in developing free and open international order based on the rule of law. Ever since the establishment of diplomatic relations, Japan and Georgia have been promoting people-to-people exchange in wide areas such as political, economic and cultural ties and I am very pleased that our friendly relations are steadily developing.

Japan and Georgia have potential for further development of the relationship. Taking the opportunity of 30th anniversary of the establishment of diplomatic relations, I hope that the bonds between our peoples will become stronger and would like to cooperate with Your Excellency to further deepen the excellent relations between our countries.

I wish Your Excellency your health and every success in your endeavour as well as well-being of your people.

KISHIDA Fumio
Prime Minister of Japan

განსხვავებულ ადგილას მდებარეობს რეკვიზიტები და რაც ძალიან საინტერესოა განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი წერილის ავტორის ხელმოწერა (იეროგლიფების დიდი და მუქი შრიფტით).

დიპლომატიური წერილების ფორმატი ბევრ ინფორმაციის დაწერის საშუალებას არ იძლევა, იმიტომ რომ სხვა წერილებისგან განსხვავებით უნდა იყოს ლაკონური და აზრიანი. ინფორმაციის გადმოცემისათვის გამოიყენება სხვადასხვა იმპლიციტური ხერხები: კლიშირებული ერთეულები, შინაარსის შეკუმშული ვარიანტები, დამატებითი კონოტაციის მატარებელი სიტყვები, კულტურული რეალიები და სხვ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ფონურ ცოდნას, რომელზეც მოგვიანებით იქნება საუბარი.

იაპონური და ქართული ეტიკეტის განსხვავება

იაპონური და ქართული კულტურების თავისებურების ერთერთ საინტერესო გამოვლენას წარმოადგენს მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ეტიკეტური ფორმულები, რომელშიც შედის მისალმების, დამშვიდობების, მიმართვის და სხვ. კონსტრუქციები.

სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს ენასა და კულტურაში დამკვიდრებულ სტაბილურ გამონათქვამების სისტემას, რომელიც არეგულირებს ამ სოციუმის წევრების სამეტყველო ქცევას და რომელიც გამოიყენება კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების სიტუაციებში. ეს ფორმულები მრავალფეროვანია: მიმართვის, მისალმების, დამშვიდობების, ბოდიშის მოხდის, მადლიერების, მილოცვის, სურვილების, თანაგრძნობისა და სამძიმრის, მოწვევის, შეთავაზების, რჩევის მოთხოვნის და მრავალი სხვა.

ცნობილი ლინგვისტის, ნატალია ფორმანოვსკაიას აზრით, ეტიკეტი არის „საზოგადოების მიერ შემუშავებული მეტყველების ქცევის წესები, სავალდებულო საზოგადოების წევრებისთვის, ზოგადად - ჩვენი ურთიერთობების ყველა ნორმა, ქცევა, რომელიც ნაციონალურად სპეციფიკურია, მტკიცედ არის დაფიქსირებული მეტყველების ფორმულებში, მაგრამ ამავე დროს ისტორიულად ცვალებადია“ (Формано вская, 1989: 5).

აღმოსავლური კულტურა უძველესი დროიდან უპირისპირდებოდა დასავლურს მისი წეს-ჩვეულებებით, სხვანაირი ხედვით, სამეტყველო ქცევით და ასე შემდეგ. საყოველთაოდ აღიარებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის სიმბოლური აღქმა: დასავლეთს ახასიათებს „გონების კულტურა“, აღმოსავლეთს კი - „ემოციების“. საქართველო კი ისტორიულად მნიშვნელოვან რეგიონში არის განლაგებული, რომელიც ყოფს და ამავდროულად აერთიანებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ წერილებში გვინდა გაუსვათ ხაზი იაპონური მიმართების შემდეგ თავისებურებს:

- 1) ქართულ კულტურაში, მოგეხსენებათ, არის თავაზიანი მიმართვის სპეციალური ფორმები: მამაკაცისთვის - *ბატონო*, ქალისთვის - *ქალბატონო*.

ხოლო იაპონურ კულტურაში სქესის მიუხედავად ყველასთვის მიღებულია ერთ და იგივე ფორმა: ან მიმართვა „*სან*“, ან კი - „*სამა*“.

რა არის მათ შორის განსხვავება? განსხვავება იმაშია, რომ პირველი მიმართვა „*სან*“ არის ჩვეულებრივი ზოგადად თავაზიანი ფორმა, ხოლო მეორე კი - „*სამა*“ განსაკუთრებულ სამეტყველო სიტუაციებში გამოიყენება და ზეთავაზიან ფორმას ნიშნავს. ეტიკეტური ფორმების სწორ გამოყენებას აუცილებლად დიდი ყურადღება და დაკვირვება უნდა, ვინაიდან იაპონური ენის სისტემა მთლიანად იაპონური კულტურის, ტრადიციების, ადათ წესებისა და მენტალურ-ადამიანურ ფაქტორებზე არის აგებული. შესაბამისად, არასწორი გამოყენების შემთხვევაში დიდ უხერხულობას იწვევს.

აღნიშნული წერილების ტექსტში გამოყენებულია სწორედ ეს „ზეთავაზიანი“ მიმართვის ფორმა.

- 2) ოფიციალური წერილების ქართულ ვარიანტებში ავტორი მიმართავს ადრესატს კლიშირებული კონსტრუქციით, რომელშიც პირველ ადგილზეა თავაზიანი მიმართვა (*ბატონო*, *ქალბატონ*), შემდეგ ოფიციალური პირის თანამდებობა, სახელი და გვარი. იაპო-

ნური კლიმირებული ფრაზა აგებულია სხვანაირად - ჯერ თავაზიანი ფორმა, გვარი და ბოლოს თანამდებობა (იხ. სურ. 1).

- 3) იაკონური კულტურის კიდევ ერთ საინტერესო ნიშანთვისებას ვაწყდებით გაანალიზებულ წერილებში: მიმართვებში ისინი იყენებენ მხოლოდ გვარს, ან გვარს და თანამდებობას, და არ იყენებენ სახელებს, რაც ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი.

კულტურული რეალიების თავისებურებანი

კულტურათაშორისი კომუნიკაცია გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ურთიერთობას. კულტურათაშორისი დიალოგის პროცესში კომუნიკანტები ეცნობიან, ეგრეთ წოდებულ, ეთნოკულტურულ რეალიებს, რომლებიც ან მხოლოდ წყარო კულტურას ახასიათებენ, ან სამიზნე კულტურაში აქვთ სხვანაირი დატვირთვა, აღქმა.

როგორც ცნობილი ბულგარელი მთარგმნელები სერგეი ვლახოვი და სიდერ ფლორინი აღნიშნავენ, რეალია შეიძლება სოციუმის ცხოვრების ყველა სფეროს ასახავდეს, თემატურად ისინი მრავალფეროვანია, მაგრამ გავრცელების არეალის მიხედვით რეალიები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

- 1) ინტერნაციონალიზმები;
- 2) რეგიონალური რეალიები;
- 3) ეთნოკულტურული რეალიები (Влахов, Флорин, 2009: 12).

რა თქმა უნდა, თარგმნის თვალსაზრისით, პირველი ჯგუფის რეალიები, ძირითადად, არ წარმოადგენენ პრობლემას, ვინაიდან უამრავ ენაში მსგავსი ფორმით ფუნქციონირებენ. დიპლომატიურ და პოლიტიკურ დისკურსში ხშირად გამოიყენება მსგავსი ინტერნაციონალიზმები, მაგალითად:

საგარეო საქმეთა სამინისტრო, საელჩო, მინისტრი, საელჩო, ელჩი, პრეს-რელიზი და სხვ.

	იაპონური (წყარო ენა)	ინგლისური (სამიზნე ენა)	ქართული (სამიზნე ენა)
სახელმწიფო სტრუქტურა	外務省, 大使館	Ministry of Foreign Affairs, Embassy	საგარეო საქმეთა სამინისტრო, საელჩო
თანამდებობა	大臣, 大使, 副首相	Minister, Ambassador, vice Premier	მინისტრი ელჩი ვიცე პრემიერი
ტოპონიმები	コーカサス, 黒海	Caucasus, Black sea	კავკასია შავი ზღვა
ოფიციალური საბუთები	プレスリ リース	Press release	პრეს-რელიზი

მეორე ჯგუფის მაგალითები, ანუ რეგიონალური რეალი-
ები, ნაკლებად გვხვდება დიპლომატიურ მიმოწერაში, ვინაიდან
ნებისმიერი ოფიციალური პირი ასახავს მთელ სახელმწიფოს და
არა ლოკალურ რეგიონს.

მთარგმნელობითი პრობლემებს, ძირითადად, მესამე ჯგუ-
ფის ერთეულები იწვევენ - ეთნოკულტურული რეალიები. გაან-
ალიზებულ წერილების მასალაზე ჩვენ გამოვყავით შემდეგი
მაგალითები:

相撲 • Sumo • სუმო

平成 • Heisei • ჰეისეი

歌舞伎 • Kabuki • კაბუკი,

გახდით პირველი ქართველი სუმოსტი, რომელიც
ოძეკის რანგში დაწინაურდა.

https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_ka/tochinoshin_ozeki_geo20180530.html

ジョージア出身 力士として初の大関昇進

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, იაპონიის მიერ განხორციელებული „მშვიდობიანი დიპლომატიის“ შედეგად, იაპონური კინემატოგრაფის პოპულარიზაციამ გამოიწვია ეთნოკულტურული რეალიების ფუნქციონირების არეალის გაზრდა. ასე, მაგალითად, ამ ქვეყნის მეტაფორული დასახელება - „ამომავალი მზის ქვეყანა“ - გახდა ძალიან პოპულარული მასობრივი ინფორმაციის ხერხებში, ან ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ეგზოტიკური კერძი „სუში“, ცხარე საწებელი პასტა „ვასაბი“, რომელიც მზადდება მხოლოდ იაპონიის მთებში გახარებული მცენარიდან, უამრავი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის დღეს უკვე ნაცნობი და საყვარელიც არის.

ფონური ინფორმაციის პრაგმატული ადაპტაცია ქართულენოვან მკითხველისთვის

ეთნოკულტურული რეალიების აღქმის პრობლემები უშუალოდ დაკავშირებულია წყარო და სამიზნე ენებისა და კულტურების ფონური ინფორმაციის განსხვავებულ მარაგთან. ნებისმიერ ტექსტში მხოლოდ ინფორმაციის ნაწილია გამოხატული ექსპლიციტური ხერხებით, მეორე ნაწილი კი ან იგულისხმება, ან ისეთ შეკუმშული ფორმით არის დაფიქსირებული, რომ მკითხველის აზროვნებაში უნდა გაიშალოს ფონური ინფორმაციის მთელი ფენა. მთარგმნელი კი აანალიზებს კომუნიკანტების განსხვავებულ მარაგს და ხშირ შემთხვევაში მიმართავს პრაგმატულ ადაპტაციას, რათა მოხდეს ტექსტური ინფორმაციის ადეკვატური გადმოცემა.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ მიმოწერაში გამოვეყავით ფონური კულტურული ინფორმაციის რამდენიმე საინტერესო ფენა. იაპონიაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ძალიან თავისებური წელთაღრიცხვაა. 1873 წლის 1 იანვარს იაპონიაში მიიღეს გრიგორიანული კალენდარი. 1873 წლამდე ფართოდ გამოიყენებოდა იაპონური ტრადიციული მთვარის მზის კალენდარი, რომელიც დაფუძნებული იყო ჩინურ კალენდარზე. ტრადიციული კალენ-

დარი ახლა ძირითადად გამოიყენება მხოლოდ საზეიმო, ასტროლოგიური და კულტურული მიზნებისთვის ([https:// www.ndl.go.jp/koyomi/chapter1/s2.html](https://www.ndl.go.jp/koyomi/chapter1/s2.html)).

ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ამჟამად „ამომავალი მზის ქვეყანაში“ გამოიყენება იაპონური ქრონოლოგიის სისტემა - მმართველი იმპერატორის მიერ წლების დათვლა. წლები გამოითვლება იმპერატორის მეფობის დაწყებიდან (元号 げんごう), მაგალითად: 2012 წ. ჰეისეის 24-ე წელია.

ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მიერ მიღებული იაპონიის იმპერატორის ჯილდოს აღსანიშნავ პრეს-რელიზში მითითებულია თარიღის შემდეგი ვარიანტები.

წყარო ტექსტში:

4月29日、日本政府は**平成29年春**の叙勲の受章者を発表し、ジョージアからは**ニノ・アナニアシヴィリ**国立オペラ・バレエ劇場バレエ芸術監督が旭日中綬章を受章することとなりました。

https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvilipressrelease_jpn_web..pdf.

ქართულ თარგმანში:

ა.წ. 29 აპრილს იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა იაპონიის იმპერატორის ჯილდოს ლაურეატები **2017 წლის** გაზაფხულისათვის. საქართველოდან, ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, დაჯილდოვდება ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენით. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf.

ანუ ამ შემთხვევაში მთარგმნელმა გამოიყენა პრაგმატული ადაპტაცია, არ გადატვირთა საბუთის შინაარსი იაპონური დათარიღების ეროვნული თავისებურების ახსნით და პირდაპირ გადაიყვანა ქართველი მკითხველისთვის მიჩვეულ სისტემაში.

იაპონიის ელჩის რამდენიმე წერილი-მილოცვა ეძღვნება ქართველი სპორტსმენებს. ის ულოცავს საქართველოს პრემიერ-

მინისტრს ქართველი სუმოისტების წარმატებას, ოღონდ ქართველი მკითხველისთვის მიჩვეული სახელი და გვარის ნაცვლად იყენებს ზედმეტ სახელებს, კერძოდ:

ტოჩინოშინი, კოკაი და სხვ,

საქმე იმაშია, რომ სუმო - იაპონელების ეროვნული სპორტია, და მათ ფედერაციაში ყველა ცნობილი სუმოისტი ლეგულაობს ზედმეტ სახელს, რომელსაც დიდი სემანტიკური და ემოციური დატვირთვა აქვს.

„ტოჩინოშინი“ არის ცნობილი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, 2018 წლის იაპონიის იმპერატორის თასის მფლობელი. მისი ზედმეტი სახელის აღქმისთვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ იაპონიაში ყველა პროფესიონალ სუმოისტს ზედმეტ სახელს (*შიკონა*) არქმევენ, რომელსაც დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. სახელის პირველი ნახევარი წარმოადგენს სკოლას, რომელშიც სპორტსმენმა გაიზარდა როგორც პროფესიონალი, მეორე ნაწილი კი ეძლევა მისი მიღწევების დაფასების ნიშნად.

ვინაიდან ლევან გორგაძე კასუგანოს სკოლის წარმომადგენელია, ამიტომ მისი შიკონას (ზედმეტი სახელის) პირველი ნაწილია - „ტოჩი“, რომელიც იაპონიის ტოჩის პრეფექტურიდან მოდის, სადაც მოღვაწეობდა კასუგანოს სკოლის მფლობელი. მეორე ნაწილს კი არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ დიდი ემოციური დატვირთვაც აქვ, და ნიშნავს „გულს“. ანუ, ქართველი სპორტსმენი აღიარებულია იაპონელი პროფესიონალების სკოლის „გულად“.

„კოკაი“ - სრული სახელი „კოკაი ფუტოში“ *Kokkai Futoshi*

ლევან ცაგურია, სახელად კოკაი (სრული ვარიანტი კოკაი ფუტოში) პირველი ევროპელია, რომელმაც ძიურეს თანრიგს მიაღწია სუმოში, ტრადიციულ აღმოსავლურ ბრძოლაში, იაპონელებმა მას შეარქვეს კოკაი, რაც იაპონურად „შავ ზღვას“ ნიშნავს, ვინაიდან სპორტსმენი სოხუმიდან არის წარმოშვებით.

დასკვნა

დიპლომატიური მიმოწერის ანალიზის შედეგად ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1) დიპლომატიური მიმოწერა, კერძოდ, ოფიციალური წერილები, წარმოადგენს თავისებური დისკურსის ნაირსახეობას, ვინაიდან მოიცავენ დიპლომატიური, პუბლიცისტური დისკურსის ნიშანთვისებებს, აგრეთვე ეპისტოლარული სტილის ფორმატს.

2) იაპონური ენის სისტემა მთლიანად იაპონური კულტურის ადათ წესებზე არის აგებული და განსხვავებები ინგლისურ და ქართულ შესაბამის ტექსტებთან გამოიხატება: ოფიციალური წერილების ფორმის თავისებურებაში, ეტიკეტის განსხვავებაში.

3) თარგმნის თვალსაზრისით ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს რეალიების ტრანსკოდირება. გაანალიზებულ ოფიციალურ წერილებში გხვდება ინტერნაციონალიზმები, რომლებსაც შესატყვისები გააჩნია, არ გხვდება რეგიონალური ხასიათის რეალიები. პრობლემას წარმოადგენს ამომავალი მზის ქვეყნის კულტურული რეალიები, რომლებიც პირობითად ორ ჯგუფად გავყავით: იაპონური კულტურის რეალიები, რომლებიც უკვე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში (სუმო, სუში, ვასაბი) და ისეთ ეთნოკულტურული რეალიები, რომლებიც მოითხოვენ შესაბამის ფონურ ინფორმაციას, ამიტომ მთარგმნელები იყენებენ, ძირითადად, ორ ხერხს: ან ახსნა-განმარტების გზას (თოჩინოშინის შემთხვევაში), ან პრაგმატული ადაპტაციის ხერხს მიმართავენ, როდესაც იაპონური დათარიღების სისტემა ჩანაცვლებულია ქართველი მკითხველისთვის გასაგები ვარიანტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბიბილაშვილი, მ. (2022). „საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: პარტნიორობის მიღწევები და პერსპექტივები,” პოლიტიკის დოკუმენტი No. 30, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. <https://gip.ge/ka/publication-post/thirty-years-of-diplomatic-relations-between-georgia-and-japan-achievements-and-prospects-for-partnership/>.

- ჯავახიშვილი, ნ. (2014). ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ // ისტორიანი : ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. - თბილისი, 2014. - ISSN 2233-3843. - ივნისი. - N6 (42). გვ.12- 19. <https://www.nplg.gov.ge/geo/home>.
- Влахов, С., Флорин С. (2009). Непереводимое в переводе. Москва.
- Формановская, Н. (1989). Речевой этикет и культура общения. Москва.
- Embassy of Japan in Georgia.* (2022). <https://www.ge.emb-japan.go.jp/>
https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_jpn_web..pdf
https://www.ge.emb-japan.go.jp/files/ananiashvili_order/ananiashvili_pressrelease_geo_web.pdf
https://www.ge.emb-japan.go.jp/itprka/tochinoshinozeki_geo20180530.html
https://www.ge.emb-japan.go.jp/itprja/tochinoshin_ozeki_jpn20180530.html
<https://www.ndl.go.jp/koyomi/chapter1/s2.html>.